ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-253031/07

"03" 08 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.036.589) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №19786810 1.07.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები, კონდიციონერები, საკომუნიკაციო მილები და გამათბობლის ქვაბები. ბუნებრივი ქვით მოპირკეთების ნაცვლად მოწყობილია ხელოვნური ფილები. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვა. შეცვლილია მოაჯირების ფერი.

„1-6" ფასადზე: შემცირებულია ვიტრაჟების გაბარიტი. -3.30 ნიშნულზე გაუქმებულია ლითონის ცხაურები და მათ ნაცვლად მოწყობილია მეტალო-პლასტმასის ფანჯრები. „3-4" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსები. კიბეზე გაზრდილია საფეხურების სიგრძე და მათი რაოდენობა. ამავე მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ალუმინის ვიტრაჟის ნახატი. +3.30 ნიშნულზე აივნებზე დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები და შემცირებულია კაპიტალური კედლების სიმაღლე. „3-4" მონაკვეთში შეცვლილია სადარბაზოს ღიობების გაბარიტი. ამავე მონაკვეთში შემცირებულია კარების გაბარიტი. +26.40 ნიშნულზე „6-6" ღერძთან აივანზე გაუქმებულია კაპიტალური კედელი.

„6-1" ფასადზე: „5-4" მონაკვეთში შესაღებია მცირე ზომის კედლის ფრაგმენტები. შემცირებულია ვიტრაჟების გაბარიტი. -3.30 ნიშნულზე გაუქმებულია ლითონის ცხაურები და მათ ნაცვლად მოწყობილია მეტალო-პლასტმასის ფანჯრები. +0.00 ნიშნულზე ფილის ქვემოთ დამატებით მოწყობილია რიგელები. ამავე ნიშნულზე „4-3" მონაკვეთში შეცვლილია ალუმინის ვიტრაჟის ნახატი. კიბეზე შემცირებულია საფეხურების სიგანე და რაოდენობა. გაზრდილია პანდუსის სიგანე.

სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია შახტების გაბარიტი და ფორმა. კარს მონაცვლებული აქვს ადგილი.

-3.30 ნიშნულზე გაზრდილია ავტოფარეხში ჩასასვლელი პანდუსის სიგანე. შემცირებულია კიბის უჯრედის სიგანე და შემცირებულია საფეხურების რაოდენობა. „გ-გ" ღერძზე მონოლითურ კედელში გაზრდილია სადარბაზოში შესასვლელი კარების (ღიობის) გაბარიტი.

+0.00 ნიშნულზე „ბ-ა" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები.

დასასრულებელია საფეხმავლო ბილიკის კეთილმოწყობა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მ.-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ"

ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „დიღომი ჰაუსი"-ს, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.036.589) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №253031/07 14.07.2016წ.
№259320/07 20.07.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე